



გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
WWW.opentext.ge/menora

მენორა

გადათვალენე შუქი შენი სახისა, უფალო!
קטלמךני 4:7

გერაული გაზეთი	"מנורה"	„МЕНОРА“
საქართველოში	עיתון יהודי	ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
MENORA	בגוריה	В ГРУЗИИ
JEWISH NEWSPAPER		
IN GEORGIA		

თბილისი
(აღარი)
15-28
№4 (244)
(5767 ფშლი)
2007 წელი
ფასი 50 თეთრი

הנורה

ღვანულადი მენორის სსოვნა

5 თებერვალს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, ივ. ჯავახიშვილის სახ. საკონფერენციო დარბაზში კიდევ ერთხელ მოიგონეს ღვანულადი მენორის აკადემიური კოტე წერეთელი. კონფერენცია აკადემიური კოტე წერეთლის დაბადების დღეს მიეძღვნა, მას წელს 86 წელი შეუსრულდებოდა.

უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა მისწავლა შეკრებილ საზოგადოებრიობას, ისაუბრა კოტე წერეთლის მეცნიერულ მოღვაწეობაზე და პირველი სიტყვა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცურს გადასცა.

შაბთაი ცური:

– მივესალმები დამსწრე საზოგადოებას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი ხუბუას, ქალბატონ ლეილა წერეთელს.

პირველ რიგში დიდ მადლობას მოგახსენებ მოწვევისათვის.

ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ პირადად ვიცნობდი აკადემიოს, პროფესორ კოტე წერეთელს, ადამიანს, რომელსაც განუზომელი ღვაწლი მიუძღვის ებრაელი ხალხისა და ისრაელის სახელმწიფოს წინაშე.

თუკი საბჭოთა კავშირის იმდროინდელ რეალობას გაითვალისწინებთ, 1944 წელს საქართველოში ებრაელი ენის სწავლების შემოღება, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო. ამ პერიოდში ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო ისრაელის სახელმწიფო. მძებნავრება მეორე მსოფლიო ომი, ანტისემიტიზმი, ებრაელებს სდევნიდნენ და ფიზიკურად ანადგურებდნენ.

სწორედ ამ პერიოდში ქართველმა კაცმა, ბატონმა კოტე წერეთელმა, საქართველოში ებრაელი ენის სწავლებას ჩაუყარა საფუძველი.

როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სემიოლოგიის კათედრის დამაარსებელს, უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მეცნიერსა და სემიოლოგიის აღიარებულ მკვლევარს, აკადემიოს კოტე წერეთელს უდიდესი დამსახურება აქვს ქართველი და ებრაელი ერებისა და ორი სახელმწიფოს უნიკალური ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცების საქმეში.

როგორც მოგახსენებთ, წელს 15 წელი სრულდება ისრაელსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან.

მოხარული ვარ, რომ ბოლო ორ წელიწადში ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გააქტიურდა ყველა, მათ შორის, მეცნიერების სფეროშიც.

ბატონი კოტეს მიერ დაწესებული საქმე დღესაც გრძელდება და ახალ სიმაღლეებს აღწევს.

მადლობას მოგახსენებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი ხუბუას და ყველა იმ ადამიანს, ვინც აკადემიოს კოტე წერეთლის მიერ დაწესებულ საქმეს აგრძელებს.

ისრაელის საელჩო მისწავლეს ისრაელისა და საქართველოს მეცნიერებს შორის ახალი კავშირების დამყარებას.

მოხარული ვარ, რომ ამჟამად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ისრაელისა და საქართველოს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის დამყარების მიზნით. ისრაელის საელჩო ყოველმხრივ უჭერს მხარს ამ საქმეს.

წარმატებებს გისურვებთ!

აკადემიოს კოტე წერეთლის პროფესიულ და პიროვნულ თვისებებზე ისაუბრეს: მწერალმა და მთარგმნელმა, ისრაელში საქართველოს საელჩოს უფროსმა მრჩეველმა ჯემალ აჯაიშვილმა, აკადემიოსმა თამარ გამყრელიძემ, ებრაისტმა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ თამარ მახარაშვილმა, ებრაული სახლის პროგრამების კოორდინატორმა ზაირა დავარაშვილმა, აკადემიოსმა მარია ლორთქიფანიძემ, პროფესორმა გურამ ლორთქიფანიძემ.

პრეს-რელიზი

„ლაზა – ექსტრემიზმის საპანა“

საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, შაბთაი ცურის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ პალესტინელთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ისრაელმა დატოვა ღაზა, ჰამასმა ღაზა ექსტრემისტების საგანგებო „ჯიჰადის“ ტერორისტულ ბაზად გადააქცია, რომელიც ისრაელის, რეგიონში დემოკრატიისა და სტაბილურობის წინააღმდეგ არის მიმართული.

„ჰამასის ხელმძღვანელობა მონაწილეობს მთელ რიგ ტერორისტულ ოპერაციებში ღაზაში. მათი ტერორისტული კამპანიის მსოფლიო ორ მკვლევარს გამოდგება ვილათში ბოლო ხანს მომხდარი თვითმკვლეელი ტერორისტის მიერ მოწოდებული ტერორისტული აქტი, რასაც სამი ისრაელელი მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე შეეწირა, და 2006 წლის ივნისში ისრაელის ტერიტორიის საზღვრისპირა მონაკვეთზე ისრაელულ ჯარისკაცებზე მომხდარი თავდასხმა, რის შედეგადაც დაიღუპა ორი ისრაელელი ჯარისკაცი და გაიტაცეს კაბრალი გილად შალითი“, - აცხადებს შაბთაი ცური.

მას შემდეგ, რაც ისრაელმა დატოვა ღაზა, 16 თვეში, პალესტინელებმა „ჰამასის“ ტიპის 2000-მდე რაკეტა გაუშვეს ისრაელის დასავლეთ ნეგევის რეგიონში მდებარე დასახლებული პუნქტების მიმართულებით. სარაკეტო თავდასხმების შეჩერება ვერც ორი თვის წინ მიღწეული „ცეცხლის შეწყვეტის“ შესახებ შეთანხმების შედეგად მოხერხდა. ცეცხლი მხოლოდ ისრაელმა შეწყვიტა. მას შემდეგ „ჰამასის“ ტიპის 100-ამდე რაკეტა აფეთქდა ისრაელში, რის შედეგადაც ოცამდე ადამიანი დაიღუპა და ასზე მეტი დაშავდა.

ისრაელის ელჩის თქმით, ექსტრემისტი პალესტინელები ახლა ეძებენ გზებს რათა განავითარონ თავიანთი სტრატეგიული შესაძლებლობები და ისრაელთან მომავალი კონფლიქტისათვის ემზადებიან. მათ მაგალითად აიღეს პესბოლას მოდელი, იმ ისლამური ტერორისტების ჯგუფის მოდელი, რომელმაც, ირანის და სირიის სპონსორობით, სამხრეთ ლიბანში ათობით ათასი რაკეტის კონცენტრირება მოახდინა და ელოდება შანსს, რათა გამოიყენოს ისინი ისრაელის მოსახლეობის წინააღმდეგ. პალესტინელი ექსტრემისტები ასევე იყენებენ პესბოლას ტაქტიკას, რომელიც მოსახლეობის ცოცხალ ფარებად გამოყენებას გულისხმობს. ტერორისტული ჯგუფები უშეუბნებლად „ჰამასის“ ტიპის რაკეტებს მჭიდროდ დასახლებული ადგილებიდან, რათა ამ გზით დაიცვან თავი ისრაელის კონტრ-შეტევებისგან.



„საერთაშორისო ზეწოლის მიუხედავად, „ჰამასი“ არ აღიარებს ისრაელის უფლებას იარსებოს მშვიდობისა და უსაფრთხოების პირობებში, მან უარყო შეთანხმებები, რომლებსაც პალესტინელთა წინა ლიდერებმა მოაწერეს ხელი. საერთაშორისო თანამეგობრობამ შეწყვიტა ჰამასის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერა. შედეგად, ჰამასი ტერორისტული ოპერაციების დაფინანსებისათვის ირანს მიმართავს. დღემდე, ამ მიზნით დაახლოებით 50-70 მილიონი აშშ დოლარის ირანული ვალუტა კონტრაბანდული გზით მოხვდა ღაზაში, - აცხადებს შაბთაი ცური.

არსებობს პრობლემის ზომიერი გადაწყვეტის გზა - ორი დემოკრატიული სახელმწიფოს მშვიდობიანი თანარსებობა გვერდიგვერდ, რასაც მხარს უჭერენ ისრაელი, ზომიერი პალესტინელები, ზომიერი არაბული სახელმწიფოები და საერთაშორისო თანამეგობრობა. ექსტრემისტულ ღერძს, რომელსაც შეადგენენ ირანი, სირია, პესბოლა და ჰამასი, სურვილი არა აქვს, რომ მიადვილოს მშვიდობას, რომელიც დაფუძნებული იქნება ზომიერებაზე და კომპრომისზე.

„ამჟამინდელი ექსტრემისტული რეალობა ღაზაში არა მარტო საფრთხეს უქმნის ისრაელის მოქალაქეთა სიცოცხლეს, არამედ ძირს უთხრის მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების შესაძლებლობას მთელს რეგიონში.“ - აცხადებს ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური.

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი „ხესედ ელიაჰუ“, აცხადებს ტენდერს ყოველთვიური სასურსათო ამანათების მიწოდებაზე ჩვენს ცენტრში აღრიცხვაზე მყოფ სამეურვეო პირებისათვის. ტენდერში მონაწილეობის მსურველ იურიდიულ პირებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ტენდერის პირობებს „ხესედ ელიაჰუს“, ადმინისტრაციაში. მისამართი: თბილისი, ვახტანგ VI ქ. №30, II სართული. ტენდერის პირობების გასაცნობად აუცილებელია შემდეგი საბუთების წარდგენა:

1. იურიდიული პირის წესდების ასლი
2. სარეგისტრაციო მოწმობის ასლი
3. ორგანიზაციის იურიდიული მისამართი
4. ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირადობის მოწმობის ასლი და საკონტაქტო ტელეფონი
5. ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები
6. ცნობა ბანკიდან იმის თაობაზე, რომ ორგანიზაციის ანგარიში მოქმედი და არ ერიცხება საბიუჯეტო დავალიანება (კარტოთეკა).

დოკუმენტების მიღება და ტენდერის პირობების გაცნობა 2007 წლის 15 მარტამდე.

ლიტერატურული საღამო

18 თებერვალს ლიტერატურულ კაფე „ქარაფანში“ ზოეტმა და მთარგმნელმა ჯემალ აჯაიშვილმა ლიტერატურული საღამო გამართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მწერლები, მხატვრები, ზოეტები, მუსიკოსები, აღმოსავლეთმცოდნეები. ჯემალ აჯაიშვილი მსმენელებს თავად უკითხავდა საკუთარ სონეტებს, თარგმანებს.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს ზოეტმა ლია სტურუამ, მწერალმა გივი მანჩანაძემ, კინორეჟისორმა ლანა ღოდობერიძემ და სხვ.

სამართლებრივი მართლმადიდებელი სულიერი მემკვიდრეობა

იხსნა დავილი

მშობიარეს გამოავლენენ ხელში ფულს და იგი ამბობს: – „აა, ღმერთო ერთო, უკვდავო და უცვალებლო, თუ ვინცობაა ღარიბი გამეწილებინოს და არ მიმეხედოს, ნუ გამიხსენებ ამ გაჭირვების დროს. მაპატიე, მიშველე-ო. მის ხელში გამოვლებულ ფულს მთლიანად ღარიბებს დაურიგებენ.“

ქალს რომ მუცელი ეტკინება, არ ვარგა თუ ბევრმა ვინმემ გაიგო: ძნელი მორჩენა ექნება, თვალს აიტანს.

მშობიარის მუცლის ტკივილის დროს, ოჯახის უფროსი ქალი სანთელს რომ აანთებს, წყალს ათბობს ცომის მოსახელად; მოხელს ცომს და მოხელის დროს ღმერთს ევედრება: – „აა ღმერთო, აბრაამისაო, ღმერთო ისრაელისაო, ღმერთო იაკობისაო, ღმერთო გამჩენო ცისა და ქვეყნისაო, რომელმაც გადაგვაქცია წყალი ადამიანად, უხსენი ტყვესა ისრაელისას, უხსენი ავადმყოფსა ისრაელისას, უხსენი სალდათს ისრაელისას და გამოიყვანე გალუთისაგან (ტანჯვისაგან), ნუ გაუჭირვებ გამჩენო ნურსად მშობიარეს ისრაელისას და მათში ნურც ჩემსას, ამისო ზეთუხო (მადლო)“. ამ სიტყვებით მოხელილ ცომს მალა ორივე ხელით ასწევს და განაგრძობს: „ყველა გადაარჩინე მშვიდობიანად, ერთი ხმით, ვისაც რა მისცე გასაზღვლი და დასარჩენი, ყველას შეახვედრე რიბონაშეწყვილამ (გამჩენო-პატრონო ქვეყნისაო) დღე ბედნიერი და მთვარე მშვენიერი, მოაბრძანე გამჩენო მამა-ბებ-დავითი დამხსნელი ისრაელისა და მოგვასწარი თიხათი ამითმის ამისო ზეხუთო (ცომზე ადებს ხელს) მოგვისხსენი, მადლები მამებისა და პაპებისა, დაგვამადლიანე ყველაყანაი ხას (წმინდა) იერუშალიმს შენ საქებლათ და სადიდებლად, ნუ გაგვიწყობი გამჩენო შენ საყვარელ ისრაელის შვილ; ნურსად პურსა საჭმელათ, და წყალსა სასმელათ, თუ რამე ხალა დემეტბოლებინოს, მაპატიე და გამამიტანიე ამ ხალაში მე და ჩემი ქალი და რძალიც გამჩენო ხალაბერახისაო.“

ამ სიტყვებით ცომზე ხუთ ალაგას პატარებს მოწვევებს, შეერთებს მათ (კვერცხის ოდენა უნდა იქნეს სულ მცირე) და სამჯერ წაღმა შემთავლებს კურთხევით, – მიზელილ ცომზე, რის შემდეგ შემოვლებულ კვერცხის მსგავს ხალას მშობიარეს ორივე ხელში გამოავლენს და გაღუებულ ცეცხლში, პირდაპირ ღადარში ჩააგდებს, რომ სწრაფად დაიწვას, მოხელილ ცომს კი სუფთად გადაფარებულს თბილ ადგილზე დადგამს, რომ კარგად გაფუკდეს.

მშობიარეს „მუხლში ჩადგომის“ შემდეგ კარს მაგრა მიხურავენ, და როდესაც ბავშვი დაიბადება, სანამ ბავშვის ამხანაგიც (ბუდე) ანუ მომყოლი, არ გამოჰყვება და ქალი მთლიანად არ განთავისუფლდება, მანამ კარი არ გაიღება, შემდეგ გაიღება კარი, მაგრამ სანამ ყველა იქ მყოფი არ დაკბილავს რამეს, არავის გაუშვებენ; დაუკბილავი რომ ვინმე გავიდეს, ბავშვს სიმსუფხვე არ ექნება.

შეიქნება მილოცვა და შეძახილები: – „ფეხ-ბედნიერო, მანალიანი, დოვლათიანი, ასლახიანი, ამენ იერასონ; ვისაც ქვავს გეგზარდავე და დაგიჩაქვე შინ და გარეთ, ვისაც გენატრებავე, მეგესწროვე, ამენ.“

მელოგინეს სუფთად მოვლილს, მოსვენებენ და თუ მოსახერხებელია ადრავის შეუმეებენ მასთან ოთახში, გარდა მცველისა, ხოლო არავითარ შემთხვევაში მარტო არ მიატოვებენ ორმოცამდე, არც სანთელს და აქრობენ მელოგინეს ოთახში.

მშობიარობის დროს ნახშირი ლოგინი და სხვა აუცილებლად მდინარე წყალში უნდა გაივლოს, რომ უწმინდურობა წყალმა წაიღოს. მელოგინესათვის ცალკეა გადაღებული ყოველივე საჭმელ-სასმელის ჭურჭელი, რომელიც ცალკე უნდა ირეცხებოდეს. მელოგინეს ორმოცი დღის განმავლობაში ქმარი ახლოს არ უნდა მიეკაროს, მის

ახლოსაც არ უნდა გაიაროს, რადგანაც ორმოცამდე ქალი უწმინდურად ითვლება. მელოგინე სულ მცირე რვიდან ათ დღემდე არ უნდა წამოდგეს, თუ ვაჟი ყვოლა მილის დღეს (ნათელისათვის) ლოგინზე წამოჯდება, ხალხში არ გაერევა და არც მაპაკაცებს დაენახება. ქალები კი თვითონ შევლენ და მიულოცავენ. მელოგინეს თავით ბალიშის ქვეშ დაუწყოებენ: შავტარიან დანას, რომ ავმა ანგელოზმა არ გალახოს, ავეგაროს, რომელმაც გახვეულია ნახშირი, პილილი და ნიორი, გამოყერილი სამკუთხად შავ ნაჭერში; თორა გაშლილი, რათა თორის მადლმა ააშოროს ავადმყოფობა: ხოლო მისი ოთახის შესასვლელ კარზე ჩამოვიდებულია გახვეტილი ქვა (ბოროტი თვალი მას შეხედავს) და ცხენის ნალი.

რვა წითლიშვილი (იხ. ბავშვის დაბადება, აღზრდა და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი ძველად საქართველოს ებრაელებში.

„ქალი როცა ფეხმძიმედ იყო, იმის პატარა ყმაწვილს ეტყობდნენ, გვიხარია ერთი რა ეყოლება დედაშენს. ყმაწვილი თუ რომ იტყოდა გო, არ გაგვეზარდებოდა, თუ იტყოდა ბიჭო, მამინ ყველანი ერთად დაეძახებდით ბიჭი, ბიჭო, და სიხარულით ტაშს შემოვკრავდით. ან არა და თვითონ ფეხმძიმე ქალს მოუტანდნენ პოდნოცს, იმაზე დადებული იყო თეთრ ნაჭერში გახვეული დანა და მაკრატელი. მერე ფეხმძიმე ქალს ეტყობდნენ. ქალი ახადე, ახადე აბა ამაში რა არის. ქალი პირველად თუ დანას აიღებდა ხელში, იტყობდნენ, რომ ბიჭი გაუნდებო და თუ მაკრატელს, მამინ გოგოვო. (ნანა ბაჩაკაშვილი, ახალციხე) ებრაელებს ზოგჯერ მართლაც სჯეროდათ ამგვარი წინასწარმეტყველებანი.

ბავშვის დაბადებას საქართველოს ებრაელებში თან ახლდა სხვადასხვა რელიგიური წეს-ჩვეულებანი და მოქმედებანი, რომელთა მიზანს შეადგენდა მშობიარობის პროცესის გაადვილება და მშობიარისა და ახლადდაბადებული ბავშვის დაცვა გათვალისწინებით და ავი სულებისაგან. ძნელად მშობიარობის დროს, ქალისათვის მშობიარობის სიძნელეთა შემუხუქებისათვის ასრულებდნენ სხვადასხვა მაგიურ მოქმედებებს. – „მშობიარეს თავზე ვინც დატრიალებდა, რაც შეკრული კვანძები ქონდათ ტანისამოსზე, ახსენებდნენ, საყურები ვისაც ეკეთა უნდა მოეხსნა. სახელში რაც რამე დაკეტილი ქონდათ ადებდნენ. თუ ქალი ცხრა თვეზე ვერ მოიშობიარებდა, ამასთანავე, ქალს კამბეჩის მეთვეურად სთვლიდნენ და როგორც კამბეჩი 10 თვეს დადის მაკეთ, ქალმაც ალბათ იმის კვალბაზე უნდა გაიაროს და ამიტომ ქალს კამბეჩის ქვეშ გაატარებდნენ ხოლმე. – (ნინა ბაჩაკაშვილი, ახალციხე).

„ქალს თუ მშობიარობა გაუჭირდებოდა. ქალის პატრონის ლოცვაში გააგზავნიდნენ და თან გაატანდნენ ქალის თავსაფარს, თავსაფარს შეაგდებდნენ ლოცვაში და საქართო უკან წამოიღებდნენ, თავზე მოახვევდნენ მშობიარეს, თანაც ეტყობდნენ „როგორც ეს კურთხეული გასაღები ადებს, ისე გაიღოს შენი გვამი-ო (ესთერ ჩაჩაშვილი).

გაჭირვებულ მშობიარესთან მიიწვევდნენ დედის პირველს (ქალს რომელსაც ხელში ეჭირა 3 ცალი კვერცხი. შესვლისთანავე დედის პირველი მარჯვენა ფეხს შედგავდა თუ არა, იქვე თითოეულ კვერცხს ცალ-ცალკე კედელზე მიახლიდა და ხმამაღლა ამბობდა: – გველბაყი გაიყარა, დედა მარიამ შენ რას შერები, – თუ მშობიარეს უჭირს მორჩენა, – თან კალთის დაიბურტყავს: – როგორც მალე კალთის დაბურტყავა, ისე მალე მას შვილი დაებალოს – (იხ. რ. თავილიძე, ეთნოგრაფიული ნარკვევი, გვ. 39).

საქართველოს ყველა კუთხის ებრაელებმა იცოდნენ, რომ ძნელად მშობიარობის დროს, მშობიარის ქმარს მდინარიდან კა-

ლთით წყალს მოატანებდნენ და კალთიდან ალვინებდნენ წყალს მშობიარეს. მშობიარე ქალს თუ უსამოვნება ქონდა ვინმესთან, იგი „მეხილას“ (პატიება) მოსთხოვდა მათ იმისათვის, რომ მალე მორჩენილიყო მშობიარობისაგან. ნაწყენიც ეტყობდნენ „მეხილა, მომიცია, ღმერთმა მშვიდობით გადაგარჩინოსო, ყველა კუთხის ებრაელებმა იცოდეს სალოცავის კარის გასაღების თავით დადება, იმ ოთახში, სადაც ქალი მშობიარობდა, აუცილებელი იყო რაც კი რამ დაკეტილი და შეკრული იყო, უნდა გაეღოთ და გაეხსნათ, რათა ისევე გახსნილიყო მშობიარის გვამი და ქალს მალე მოეშობიარებინა. კიდევ იცოდნენ, რომ ძნელად მშობიარე ქალთან მოკვადათ ხანაში, რომელსაც სამჯერ შოფარს დააკვრებდნენ (შოფარი წარმოადგენს ცხვრის რქისაგან დამზადებულ საყვირს). მორწმუნე ებრაელები რომ – ჰამანის დღესასწაულის დღეს, რომელსაც თვლიან სამსჯავრო დღედ, თითქოს ღმერთი ყოველი ებრაელის ბედს ადგენს მომავალი წლისათვის, ამ საყვირით უკავშირდებიან რა ღმერთს, შესთხოვენ მას კარგ საწერებზე დასწეროს ისინი). ბაზამს მინიანიც (10 სრულწლოვანი მამაკაცისაგან შემდგარი ჯგუფი) ახლდა, რომლებიც ლოცულობდნენ და შესთხოვდნენ ღმერთს ქალის მშვიდობით გადარჩენას. ძნელად მშობიარე ქალს დაუნთბდნენ წვილ სანთელს და უსურვებდნენ მშობიარეს, რომ სანთლების დაწვამდე მოეშობიარებია. ქუთაისში, ოჯახის უფროსი დედა ან დედამთილი, სანთლებს ანთებს, მშობიარესაც ანთებინებს, დეთის ვედრებით: ო, ღმერთო აბრაამისაო, ისრაელისაო, ღმერთო იაკობისაო, თუ ვინცობაა დამემომოს სანთლის ანთება ამ ორსულობაში, მიიღე ვ წმინდა სანთელი (სანთ: აუცილებლად შინ ჩამოსხმულია, ნართიც შინაური), ნუ მიხამ ჩემი ცოდვისას, მიშველე და შემეწიე გამჩენისა და ქვეყნისაო.“

მშობიარეს ანთებულ სანთლებს შანდლით თავით დაუდგამენ და იქვე უნდა დაიწვას. „შობის დროს გაჭირვებულ ქალთან, ვინმე მოხუცი ქალი მიიტანდა კვერცხს, ზედ გადაუკლიდა 3-ჯერ და იტყოდა გველბაყი გაიყარა დედაშვილიც გაიყაროს. უფალო ღმერთო, მოეზარე და ზურგზე დაარტყამდა ქალს კვერცხს. (ესთერ ჩაჩაშვილი, ონი). გარდა ზემო აღნიშნული საშუალებებისა, ქალს თუ გაუძნელებოდა მშობიარობა, იცოდნენ ხოლმე შეწირულობათა გდებაც, სალოცავს შესწირავდნენ ფულს ღარიბებისათვის, სეფერთორის კაბას ან ბაღდადს.

საქართველოს ებრაელებში მშობიარობა ზდებოდა ბებიათა დახმარებით – „ქუთაისში, პაღალში ჩაყავათ ქალი და იქნე მიწაზე გაშლილ თივანე მუხლზე დაწოქილი მშობიარობდა ბებიის დახმარებით. (სონია ფიჩხაძე, ქუთაისი). ახალციხეში, ქალი გაცხელებულ მიწაზე მშობიარობდა, მომშობიარებულ ქალს ტახტზე აწვენდნენ, რომელზეც ჯერ მონები იყო გაშლილი და მერე დაფრილი იყო გაცხელებული მიწა. ორ კვირამდე ქალი მიწაზე იწვა.“ – (მარიამ ბაგდა-

დიშვილი, ახალციხე).

– როცა ქალი მომშობიარებდა, მამინ ყველაფერს დაკეტავდნენ, რომ ასე დაკეტილიყო-შეკრულიყო მშობიარეს გვამი“ (მარიამ კობოშვილი, ახალციხე).

ახლად დაბადებულ ყმაწვილს ბებია ქალები უვლიდნენ 40 დღის განმავლობაში, რისთვისაც ბებიას ზოგი კაბას აჩუქებდა, ზოგი ფულს. საპირი უეჭველად უნდა მიეცათ ბებიასთვის, იმიტომ რომ საიქიოს ყმაწვილის მშობლებს სისხლიანი ხელებით არ შეხვედროდა. ახლად დაბადებულს ბებია ფულით ჭიბს გადაუჭრიდა, ტახტზე მარდლს დააყრიდა იმიტომ, რომ მაგარი გამოვიდესო და მერე აბანებდნენ. ბავშვი თუ გოგო იყო, ყოველდღე ბანდნენ, ბიჭს კი ორშაბათობით და ხუთშაბათობით იმიტომ რომ ორშაბათობით და ხუთშაბათობით აბანებენ სეფერთორას და ამ დღეებში ავი სულები ვერ იხუნტლებს ყმაწვილზე სეფერთორის მადლით. – (ნინა ბაჩაკაშვილი, ახალციხე).

– უწინ თრუქე ყმაწვილს ერთ თვემდე არა ბანდნენ, ავი თვალი არ ეცესო ბანების დროს“ – მარიამ ბაგდადიშვილი, ახალციხე).

– ბიჭზე ავი თვალი უფრო ადვილად სჭრიდა, მინამ გოგონე. ბიჭი დაბანავზე ვინც ერთგულად არ მიანდით არ დაასწრებდნენ.

ჩვენს გამოკვლევაში „ქართულ-ებრაული აზროვნების სათავეებთან“ (მიძღვნილს რ. იმანუელ დავითაშვილისადმი „იუდაიზმის ხმის“ №19, 1982, გვ. 9-10) ვეხებოდით რა იმ თვითმყოფად წინამძღვრებს, რომლებიც განაპირობებდნენ ქართულ-ებრაული რაბინული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებულ, ვერადით: 1) თავისებურად რომანტული, რწმენითი კავშირი ერევ ისრაელთან, ვითარც ებრაელი ერის პირველ-სამშობლოსთან, მის სულიერ, პირველ წყაროსთან; სიწმინდეში დაბრუნების სიდიადის ნათელი შეგრძნებით, მის შარავანდელზე ზიარებით. 2) სიონის სიყვარული მისი უპირველეს ყოვლისა სულიერი, გრძობითი, იდეალისტური გაგებით და არა მატერიალურ-ხორციელი გამოვლინებით, ერისა და ქვეყნის მარადიული კავშირის ურყეობა თორის პრინციპებიდან გამომდინარე ღმერთის ცნება ვითარც საყოველთაო ზენაარსისა, რომელიც ყოველივეშია განფენილი და ასევე ადამიანშიც. 3) ქართულ-ებრაული ტრადიციონალიზმში, ისტორიული ეთნიკური თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნების თვალსაზრისით.

(გაგრძელება იქნება)



შეხვედრა ძალთა ასოციაციას

12 თებერვალს ქართველ და ქართველ ებრაელ ქალთა ასოციაციამ საღამო მოახლოებულ ოლიმპიადას მიუძღვნა. ასოციაციამ საპატიო სტუმრებად ჩინეთის ელჩი და მისი მეუღლე, ჩინეთის კონსული მოიწვია. საღამოს მრავალი ღირსეული ადამიანი ესწრებოდა. მათ შორის 2004 წლის ოლიმპიადის გამარჯვებულები გიორგი ასანიძე და ზვიად ზვიადური. ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ეშვარ ზენაიშვილი და სხვ.

საზოგადოებრიობას მიესალმა ქართველ და ქართველ ებრაელ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტს ევა ბაბალაშვილი და ასოციაციის „მესიტყვე“ ჯამლეტ ზეგაშვილი.

საღამოზე ნაჩვენები იყო ასოციაციის მუშაობის ამსახველი ვიდეო-კოლაჟი, გასული ოლიმპიადის გახსნის და ოლიმპიადანზე ქართველთა გამარჯვების კლიპი.

საღამოზე სიტყვები წარმოსთქვენს საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის დედამ – ს. ბეჟუაშვილმა, ბნნა ეშვარ ზენაიშვილმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა. საპატიო სტუმრებს ასოციაციის სახელით საჩუქრები გადაეცა. ჩინეთის ელჩმა ასოციაციას ოლიმპიური ჩემპიონატის სიმბოლო გადასცა.

ჯემალ სეფიაშვილი — 60

ბატონო ჯემალ, მსურს სულითა და გულით მოგილოცოთ 60 წლის იუბილე, ბედნიერება, ჯანმრთელობა და წინსვლა ვისურვოთ.

ფასდაუდებელია თქვენი დამსახურება ქართული ხელოვნების წინაშე. დამერწმუნეთ, თქვენი წარმატებებით ერთხანად ამაოებს, როგორც ქართველი, ისე ებრაელი ხალხი.

დარწმუნებული ვარ, კიდევ მრავალი წელი გახანგრძლივდება თქვენი ხელოვნების თავანისმცემლებს, თაობები დატკბებიან თქვენს მელოდებზე შექმნილი სიმღერებით და იღვწებთ ორივე ერის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

შაბთაი ცური,

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში



ჯემალ სეფიაშვილს პირველ რიგში ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებ. იგი უნიკალური კომპოზიტორია, მისი სიმღერების უმრავლესობა ჰიტად არის ქცეული და ძალიან მოსწონს მსმენელს. მისი იუბილე მეგობრებმა ვიწრო წრეში რესტორან „ფაიტონში“ აღვნიშნეთ. იქ შესრულებული იქნა მისი ძველი და ახალი სიმღერები. ეს განსაზღვრულად გენერალური რეპეტიცია საღამოსთვის, რომელსაც ჩვენ ვამზადებთ.

დათო ოძიაშვილი

ხელოვნების მუშაკთა კავშირის პრეზიდენტი

ჩემო ჯემალ!

რამ უცნაურ დრო, ისევე ჭაბუკი მეგონე და თურმე 60 წელს მოუკავებია შენთვის კარგად. ვიცი, კარებთან შენი საყვარელი ტიტების თაივლით შეგვეკებებიან შენი ხალხი ნიჭისა და კაცობის უამრავი თავანისმცემელი.

გულის კარები ვგელასათვის ფართოდ გაქვს გაღებული. საქართველოში შენ პოპულარული კაცი ხარ და ეს საყვარელი დამსახურე შენი მუსიკით, სიმღერებით და მოღვაწეობით.

იუჯი მხნედ და გაძლიერდით.

პროფესორი ვასილ კიხნაძე

„მეგ ბიჭმა მიღელ საქართველოს გული მოუღებო“

ებრაელმა ხალხმა თებერვლის დამდეგს ტრადიციული ხეთა დღესასწაული აღნიშნა – ტუ-ბიშუატი. იმ დღეებში ისრაელში გახლდით დოკუმენტური ფილმის „იმ ეშქახეხ, იერუშალაიმის“ პრემიერაზე. საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ლუდი-რამუეს განყოფილების მეთაურმა ცისანა ბინაშვილმა ქალებს და მამაკაცებს ხეებიც დაარგვეყინა და ჩინებული საღამოც გამართა. იყო მლოცვები და სიმღერები – ბევრი კარგი სიმღერა. ამ კარგ ებრაელ, თუ ქართულ სიმღერებს შორის ერთმა სიმღერამ ალმასის თვლივით გაიბრწყინა. ეს გახლდათ ჯემალ სეფიაშვილის „შალომ, ისრაელ, შალომ!“ ჩინებულად მღეროდა ის ქ. ლუდის თუ რამდის მუსიკალური ვარსკვლავი, ძალიან სწორი მუსიკალური გააზრებით, მაგრამ მე ეს სიმღერა ჯემალის შესრულებით უფრო მომწონს – იმას მაგონებს, როცა დრამატურგი პიესას უკითხავს დარბაზს და დიქციით, ინტონაციით, ხმის მოდულაციითაც კი ახასიათებს თავის პერსონაჟს.

იმ საღამომ სულ სხვა საღამო – ლამის ოცი წლის წინანდელი მომავლია: ჩინებულ ინტელექტუალთან – რაფიელ ელიგულაშვილთან ვისხედით და აღარ მახსოვს რისთვის, რატომ რომელიღაც დონისძიებზე მოსაწყვევ ადამიანთა სიას ვადგენდით.


– ჯემალ სეფიაშვილი? – ერთობ მოგრძობულად, ხმადაბლა ვიკითხე, რადგან არ ვიცოდი რა დამოკიდებულება ექნებოდა ბ-ნ რაფიელს ამ ახალგაზრდა კაცთან. ბ-ნი რაფიელი სახელისუფლებო კაცი გახლდათ, სსრკ-ს ზეობისას ამნაირ სიმაღლეზე ასული ადამიანები თავიანთ ნაფიქრს, ამა თუ იმ კაცზე, თავიანთ შეხედულებას ეგრე უბრალოდ არ ავლენდნენ. მიმანდა, მოწვეულთა შორის ჯემალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც ბატონი რაფიელის გაღიზიანება მეწყადა. ამიტომ ვთქვი ასე მოგრძობულად.

– რას ამბობ, როგორ მორიდებულად ლაპარაკობ! – შესძახა ბ-ნმა რაფიელმა – მართალი ხარ, აუცილებლად, მაგ ბიჭმა მიღელ საქართველოს გული მოუღებო!

– მაგ ბიჭმა მიღელ საქართველოს გული მოუღებო! – ეს ფრაზა დღესაც ისევე ჩამესმის ყურში, როგორც მაშინ ითქვა, იმავე ინტონაციით და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები რაოდენი ბრძენკაცი გახლდათ ბატონი რაფიელ ელიგულაშვილი.

ეს ამბავი 9 აპრილის შემდეგ იყო.

ეს ფრაზა ცრემლოვრულ საქართველოში ჯემალის სიმღერასთან – „ტიტებთან“ დაკავშირებით ითქვა. ამ ფრაზამ კიდევ ერთხელ დამიდასტურა ხელოვნების შემოქმედების ძალა. ჯემალ სეფიაშვილისა და მორის ფოცხიშვილის „ტიტებმა“ ზარდაცემულ, მგლოვიარე საქართველოს ცრემლი მოსწმინდა, თავისი წარსულისკენ, თავისივე სულიერი სამყაროსკენ მიახვდა. წარსულთან,



ჯემალ სეფიაშვილი მორის ფოცხიშვილთან ერთად

გახლდათ იმითაც, რომ მისი შთაგონების წყარო არა სხვათა ჩანაწერები, ინტერნეტი, ერის სულიერ სამყარო, უზარმაზარი მუსიკალური კულტურა გახლდათ.

ჯემალ სეფიაშვილი დღეს იმას ამკვიდრებს ქართულ მუსიკაში, რაც ასე დაგვეკვდა – მელიოდის. კომპოზიტორი ეტრფის მელიოდის, ქართულ მელიოდის. თუმცა, საბოლოოდ ყველაფერს ნიჭის ძალა განაპირობებს: ამ რამდენიმე წლის წინათ – ისრაელის ქართული ტელევიზიის ეთერში სოსო ბარდანაშვილის ამელოდიურ და ჯემალ სეფიაშვილის მელიოდურ მუსიკაზე ვლაპარაკობდი, რადგან ორივე მომწონს. ეს კი თითქმის პარადოქსია რადგან ორივენი ერთმანეთისგან ერთობ განსხვავებულ შემოქმედებით გვესადაგანან. მოწონების მიზეზი კი ნიჭის ძალა გახლავთ. თუ ქმნილება ნიჭითაა გასხივოსნებული, არც ფიქრობ იმაზე, როგორაა იგი დაწერილი.

ჯემალ სეფიაშვილის ბევრი სიმღერა სულის საოხია.

ერთი ასეთი შეკითხვა მინდა დავუსვა ჯ. სეფიაშვილს:

– რა უნდა ჰქმნას კომპოზიტორმა, როცა მის სიმღერებს ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში მღერაინ და 60 წელი მომავლურბელი ქალივით მიადგება კარს?

ჯემალ სეფიაშვილი ისედაც მოუცვლელი კაცია, ახლა მით უმეტეს – საიუბილეო კონცერტს ამზადებს. ამიტომ მევე მოუვუგებ ჩემს თავს და ამ პასუხში ჩემსავე სურვილსაც გამოვთქვამ:

– არა-რა მივაკუნებას, არა-რა გამოწვევას უწადება არ მიაქციოს. ჯანის სისალე შეინარჩუნოს, ჯდეს წერად, მხოლოდ წერად, რადგან მისგან ქმნილი მუსიკა ადამიანის სულში ჰპოვებს ადგილს. ადამიანის სული კი განუზომელი, ფასდაუდებელი საწყაია.

დიდხანს და მხნედ, ჩემო ჯემალ!

გურამ ბათიაშვილი



ჯემალ სეფიაშვილი შვილიშვილებთან

დღეებში საღამო

18 დეკემბერს ხულონში, კირაი შარეთის კულტურისა და ხელოვნების დარბაზში გაიმართა გ. ბაზოვის თეატრის 15-წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო-კონცერტი, რომელსაც მფარველობას უწევდა ხულონის მერის მოადგილე – ბატონი შალომ დავიდი.

საღამო დაიწყო დიდებული პიროვნების – ბატონი შალომის გალობით. ამ ბრწყინვალე გალობის თანხლებით, ინთებოდა ხანუქის მეხუთე დღის – ხუთი სანთელი... დარბაზი დღესასწაულის მადლმა გააცივდა!!!

ბატონი შალომის ხმა-მთიდან მოვარდნილი ნაკადულივით მოედინებოდა და, დარბაზის მრევლის – ამენ!-ის შეძახილი ერთხმად უბრუნებდა...

– ბატონი შალომი

– ქართული ენის ბრწყინვალედ მფლობელი, ენათმეცნიერი, მწერალი. უზადო მთარგმნელი, დიდებული ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე.

ყველა მისი ხელთქმნილი ნაწარმოები – წმინდა პოეზია!

სცენაზე ქ. ხულონის მერი – ბატონი მოტი სასონი. გვილოცავს დღესასწაულს და გვისურვებს წარმატებას.

სცენა ეთობა – მირიამ ბათ-მოშეს.

აქებს და ადიდებს ბ-ნ დ. ხუბელაშვილს – როგორც თეატრალურ მოღვაწეს...

მას ცვლის ნორჩი მოზარდი – მორან მაზორი, რომელიც შესანიშნავად ასრულებს სიმღერას „ორი მიწა მიანდერძეს“ ქართულად და ებრაულად.

ქართული ცეკვები!

ქება და დიდება – ბატონ გურამ მიხეილაშვილს – ამ ქართული ცეკვების მამამთავარს, უნიჭიერეს პიროვნებას, რომელსაც გააჩნია ქართული ცეკვების დიდებული კულტურა და გემოვნება. ცეკვებთან ერთად მოსწავლეებს აცნობს ცეკვის ისტორიასა და მათ შინაშე მდებარეობას. მის, დიდებულად დადგმულ ცეკვებში, ნათლად სჩანს ოსტატის ხელი.

ცეკვა „სამაიას“ ასრულებს სამი მოზარდი „დელოფალი“ თამარი! ნინიო! თამი!

პოეტი – მერი ელიშკოვი – კითხულობს ჩინებულ საკუთარ ლექსს.

ლენა მანაშეროვი და კომპოზიტორი ალექსანდრე პელები ორ სიმღერას ასრულებენ. ერთი მათგანი – ჩვენი საყვარელი – სიმა ჯანაშვილის ლექსზე ავებელი.

ბატონი ალექსანდრე თავის გამოსვლას აგვირგვინებს – ჩვენი უსაყვარლესი და შეუდარებელი პოეტის ჯანსუდ ჩარკვიანის „ვაშლივით დაფაფა“ ლექსზე აწვობილი მუსიკით. მღერის მთელი გრძობით!

სცენა დაბრუნა ცეცხლოვანმა ცეკვამ „ძველი თბილისური სურათები“. ამ ცეკვის შუალედში – მერცხალივით გამოფრინდა ჩემი უსაყვარლესი შვილიშვილი თამი ნატალი (ნათლიაშვილი) „ჯეირანს“ ცეკვავს.

მღერის, ჩვენი უსაყვარლესი, უნიჭიერესი, დიდი დიპლომატი, ძლიერი ხმის პატრონი თენგიზ კრიხელი. დიდებულად ასრულებს ორ სიმღერას: არია ოპერიდან „ჯამბაზები“ და ესპანური „სარსუელა“.

არაერთხელ ვყოფილვართ დავითის მაღალპროფესიული გარდასახვის მოწმენი, როდესაც უჩინარდება ჩვეულებრივი დავითი და იბადება „დათა ბატონი“. ქვევით, ლამაზი ხმის ტემპრით და მადლიერ არტისტიზმით გასხვივსებული, ნამდვილი ხელოვანი, ჭეშმარიტი მსახიობი...

სასიქადლო მსახიობს – უყვარს სიცოცხლე, ადამიანი, თავისი თეატრი, მსახიობები, მაყურებელი!

ამიტომ არის, რომ თბილი და გულითადად ბატონი დავითის შეხვედრა მაყურებელთან! რამეთუ უკვე კარგა ხანია მოიხვეჭა საპატიო სახელი და დიდება!

ბატონი დავითი ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული – ყველასათვის ახლობელი და ძვირფასია.

1990 წელს, დავით ხუბელაშვილი კირაი-ბიბლოგიდან საცხოვრებლად ქალაქ ხულონში გადმოდის და იწყებს მუშაობას

ჟურნალ „დროის“ რედაქციაში მთავარი რედაქტორის აწ განსვენებული ხაიმ ხუბელაშვილის ხელმეწიფებით, აყალიბებს – გერცელ ბაზოვის სახ. ახალ თეატრს... ქმნის მონოლითურ დასს...

მეთხოვეტე წელიწადი ათევალა – საქართველოდან გამოსულთა საერთაშორისო ცენტრთან არსებულმა თეატრმა, რომლის დამაარსებელი – სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი გახლავთ თვითონ – დავიდ ხუბელაშვილი!!!

ბ-ნი ხაიმ ხუბელაშვილის გარდაცვალების შემდეგ თეატრი არსებობას განაგრძობს ხულონის მუნიციპალიტეტთან (ისრაელის მეგვიდრეობის განყოფილება)

ბატონი დავითი არავითარ სიძნელეს არ უშინდება. ოლინდ – თავდავიწყებამდე ემსახურის უსაყვარლეს საქმიანობას.

თეატრის დასში სულ შვიდი მსახიობია. სპექტაკლში – „26 საუკუნე“ სამი ავტორი იღებს მონაწილეობას: ჩესი ლეხვი-



შილი, გურამ ბათიაშვილი, ჯემალ ავიამვილი.

ოთხი საუკეთესო მანდილოსანი: ლალი ბინაშვილი! ქეთევან გოგოლაშვილი! ფრიდა ჯინჯიხაშვილი და ნანა მაზორი.

უფალმა ყოველ მათგანს დაანათლა – ნიჭი, მშვენიერი გარეგნობა. მათი მოძრაობა, სიტყვა, მონოლოგი – გულითადად და უშუალო. თითქმის აღსარება!

ერთმანეთისადმი ნამდვილი მეგობრული და კეთილი დამოკიდებულება გააჩნიათ.

ზრდილი ქცევის მანერა, საოცარი ზომიერება, ნათელი და ელიტარული სულიცკვეთება.

ახალგაზრდები არიან სცენაზე, სინათლე და ემში შემოაქვთ.

სამხატვრო და მთავარი

– ქალბატონი ლალი, თქვენ სპექტაკლში, წამყვანის როლი გაკისრიათ. დიდებული სუფთა ქართულით უდიდესი გრძობით ასრულებთ თხრობას. იმდენად მოხდენილი, უშუალო და მშვენიერი ბრძანდებით, რომ მაყურებელთა მადლიერება დაიმსახურეთ. ზოგს ცრემლებიც კი მოადგა! კმაყოფილი ხართ როლით?!

– უზომოდ!!!

– რას იტყვით ისრაელზე?

– ეს, საოცარი ქვეყანაა! ლალი, ულამაზესი, ეგზოტიკური ყვავილნარით აღვსილი, მშობლიურად მიყვარს ამ ქვეყნის მიწის ყოველი გოჯი. მისი უმდიდრესი წარსული!!!

ფრიდა ჯინჯიხაშვილი

– ქალბატონო ფრიდა, დიდებული როლის გარდა სპექტაკლში, ორ მშვენიერ სიმღერას ასრულებთ – „ორი ქვეყნის ძმობა, წლებმა ვერ გათელოს“ და „დედა-ისრაელი, ძიმა-საქართველო!“ ვი-

სია ლექსი, მელოდია?

– ჩემია! ჯერ ლექსი დაწერე. მერე სიმღერად ვაქციე...

– სცენა თქვენთვის უჩვეულო იყო?

– არა! ორიოდე საიუბილეო საღამოს წამყვანი გახლდით.

– თეატრის ირგვლივ, რას იტყვით? პიესა მოგწონს?

– პიესა-დიდებულია! ვეფერებით ისრავლს! ვეფერებით, საქართველოს! ვეფერებით ჩვენს სარწმუნოებას და მივტირით უდროოდ დაღუპულ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს!!!

– ქალბატონო ქეთევან! სამსახურის, ოჯახის, ცეკვის გარდა, რა გიტაცებთ?

– თეატრი!..

– 1997 წელს, დავიდ ხუბელაშვილი ქეთევანს თავის თეატრში იწვევს, ქალბატონი ქეთევანის დებოუტი თეატრში გახლდათ პიესა „სავლანუთი“! სულ, ერთი წუთით, გამოჩნდა სცენაზე, თან შემოიტანა სიცო-

ვდავყოფს ადამიანს. თეატრი, როგორ შეგხვდათ ახალ მსახიობს?

– შესანიშნავად! მე რომ თეატრში მივედი, როლები უკვე განაწილებული იყო. ბატონმა დავითმა, როგორც „საცდელი ქვა“ შემეყვანა სპექტაკლში. კმაყოფილი ვარ – როლითაც, განსაკუთრებით კი პიესით!

რუბენ ქოსაშვილი! ყოველი ახალი შენაძენი ქართულენოვანი თეატრისათვის უდიდესი საჩუქარია, მითუმეტეს, როდესაც ეს საჩუქარი, უკვე გამოცდილი მსახიობია. მშვენიერი გარეგნობის პიროვნებაა და რაც მთავარია, სიმღერის მოტრფიალუა. შესანიშნავი ხმის მფლობელია.

1970 წელი. ქალაქ ონის თეატრი. მთავარი რეჟისორი – გიგა ჯავახიძე. ბ-ნი რუბენის პირველი როლი გახლდათ ჭინჭრაქა. შემდეგ „თეთრ ბაიარაღებში“ მომთაშვილის როლი. „მუნჯები ალაპარაკდნენ“ – ყაზარია როლი. „მე ვხედავ მზეს“ – ილარიონის როლი. დ. ერისთავი „სამშობლო“ – ექიმის როლი.

1972 წელს – ამოდის ისრაელში. უკავშირდება დ. ხუბელაშვილს ირიცხება თეატრში და ახალ პიესაში იღებს მონაწილეობას.

იამა მოშიაშვილი! ქარელში გაზრდილი და დავაქცავებული, უბადლო სამოსელის მკერავი ამობრძანდა ისრაელში...

ეს პიროვნება, იმდენად კეთილია, რომ ზღვარს ვერ დაუდებთ.

არ დაზოგავს დროს, არც სახსრებს, ოლინდ ვისმეს გამოადგეს. უსაყვარლოდ გვერდზე ამოუდგება და ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ მეგობარს ტვირთი შეუმსუბუქოს.

მხატვარ-მოდელიორია, გააჩნია მაძიებელი ბუნება, ფაქიზი გემოვნება, უტყუარი ადლო.

– ბატონო იამა, რას თვლით თქვენს დანიშნულებად?

– ადამიანებმა უარყონ მხოლოდ – შვიცავისფერი-ლურჯი...

– თქვენს საყვარელი ფერები?

– თეთრი, წითელი, ყვითელი-ოქროსფერებში გადასული. მზის სითბოსა და სინათლის ფერები...

დავიდ ხუბელაშვილი – გაჭირვების ტალკვესია, ყველაფერი გამოსდის ხელიდან. მთელი სპექტაკლის კოსტუმები მისი შეკერილია.

კომპოზიტორი რუბენ კაჟილოტი. მისი სავიზიტო ბარათი: „კომპოზიციის სპეციალისტი“.

– ბატონო რუბენ, რა არის თქვენთვის მუსიკა?

– მარადიული ხელოვნება, რომელიც აკეთილშობილებს და აერთიანებს ადამიანს! მუსიკაში – ფილოსოფიაცაა, დრამაც, ლიტერატურაც და, წარმოიდგინეთ, მათემატი-

დასამახსოვებელი თარიღები



გამჩენის მიერ სამყაროს შექმნის შედეგად დადგინდა ადამის გამჩენის შემდეგ სათავეს იღებს ებრაული წელთაღრიცხვა.

ახლა 5767 წელაა.
1056 წელს დაიბადა ნოახი-ადამის მეთათე თაობა.

1656 წელს გამჩენმა დედამიწაზე წარღვრა მოაუღწია, რომელსაც გადაურჩნენ ნოახ მეუღლით, მათი შვილები: შემი, სამი, იაფეთი მეუღლებით და ჩვენ – ებრაელები შემის (სემიტები) შთამომავალი ვართ.

1948 წელს დაიბადა ავრაჰამი (აბრაამი) – ნოახის მეთათე თაობა, რომელიც პირველ ებრაელად ითვლება.

2048 წელს დაიბადა იცხაკი (ისაკი) – ავრაჰამის შვილი.

2108 წელს დაიბადა იაყოვ (იაკობი), იცხაკის შვილი. იაყოვის 12 ვაჟიდან ებრაელთა 12 შტო წარმოიქმნა).

2238 წელს იაყოვ 70 სულით ეგვიპტეში (მიცრაიმში) ჩავიდა, რომელსაც მისი შვილი იოსებ (იოსები) გამგებლობდა.

2368 წელს დაიბადა მოსე (მოსე) – იაყოვის მეთათე თაობა.

2448 წელს გამჩენმა მოსეს წინამძღოლობით ეგვიპტის მონობიდან გამოგვიყვანა 600.000-ზე მეტი 20 წელზე უფროსი ასაკის ადამიანი.

2488 წელს ეპოშუაყ ბინ ნუნის წინამძღოლობით, უდაბნოში 40 წლის ცხოვრების შემდეგ – წმინდა მიწაზე შემოგვიყვანა 600.000 მეტი 20 წელზე უფროსი მამაკაცი და მათი ახლობლები.

ეპოშუაყ ბინ ნუნის ხელმძღვანელობა მსაჯულთა პერიოდის დასაწყისად ითვლება. ეს ხანა 2870 წლამდე – შუეულ პანავის წინასწარმეტყველის დანიშნულად გაგრძელდა.

ისრაელს მსაჯულნი-შოფტიმ განაგებდნენ

2488–2515 წ. ეპოშუაყ ბინ ნუნ (ეპოშუაყ ნუნის შვილი) გემოსამართლეობდა.

2488–2495 წ. წმინდა მიწა ქანანელებისაგან გაფანტაიუფლეთ.

2495–2502 წ. წმინდა მიწა 12 ებრაელთა 12 შტოზე განაწილდა.

2488–2502 წ. გილყადში მიშქანი იდგა.

2502–2872 წ. მიშქანი შლოში იდგა.

2515–2555 წ. ყანთიელ კენახის შვილი გემსაჯულობდა.

2555–2635 წ. ეპუდ გერას შვილი გემსაჯულობდა.

2635 წ. შამგარ ყანათის შვილი გემსაჯულობდა.

2635–2675 წ. დვორა (დებორა) წინასწარმეტყველი ქალი და ბარაკ ავინოყამის შვილი გემსაჯულობდა.

2675–2715 წ. გიდყონ იოაშის შვილი გემსაჯულობდა.

2715–2718 წ. ავიმელეხ გიდყონის შვილი გემსაჯულობდა.

2718–2741 წ. თოლყაყ ფუას შვილი გემსაჯულობდა.

2741–2769 წ. აიარ გილყადიდან გემსაჯულობდა.

ზოგიერთი წყარო ამ წლებს უკავშირებს მეფეების – შაულის (საულის) და დავიდის (დავითის) მმართველობას.

5756 წ. (1996) წ. აღინიშნა იერუსალიმის 3000 წლის იუბილე – დავით მეფემ ქალაქი იერუსელის ომში გამარჯვებით წაართვა.

2769–2780 წ. ყამონელები გებატონობდნენ.

2780–2786 წ. გილყადელი იფთახ გემსაჯულობდა.

2786–2793 წ. ივცან ბეთ ლეხემიელი (იეჰევი ბოყან რუთის მეუღლე – დავიდ მეფის პაპის

მამა) გემსაჯულობდა.


2793–2803 წ. ელონი (ზეგუელენის შტოდან) გემსაჯულობდა.

2803–2811 წ. ყავდონიძე პილელისა გემსაჯულობდა.

2811–2831 წ. შიმშონიე მანოახისა (სამსონი) გემსაჯულობდა.

2831–2871 წ. ქოჰენი ელი (მოდვარი) გემსაჯულობდა.

2871–2964 წ. 94 წელი შუეულ პანავის (წინასწარმეტყველის) მეფე შაულის (საულის) და მეფე



დავიდის (დავითის) ხანა **2871–2928 წ.** მიშქანი ნოვი და გიყონში იდგა

2811–2882 წ. შუეულ პანავი (წინასწარმეტყველი) გემსაჯულობდა.

2882–2884 წ. შაულ პამელეხ (საული) მეფობდა – მეფე შაული (საული) ზოგი წყაროებით 17 წელი მეფობდა.

2884–2924 წ. დავიდ პამელეხის (დავითის) მეფობა

2891 წ. დავიდ მეფემ დაამარცხა იერუსელნი და შემოიერთა იერუსალიამ (იერუსალიმი). მას შემდეგ 2876 წელი გავიდა.

2924–2964 წ. შლომო პამელეხ (სოლომონ) მეფე – დავიდის შვილი.

2928 წ. შლომო მეფემ ბეთ პამიყდამის (ტაძრის) მშენებლობა დაიწყო.

2935 წ. (2832 წლის წინ) დაამთავრა ბეთ პამიყდამის მშენებლობა, რომელიც მიშქანი შეაბრძანა.

2964 წ. (2803 წლის წინ) მეფე შლომოს

გარდაცვალების შემდეგ წმინდა მიწაზე 2 საშეჟო შექმნეს – იეჰუდა და ისრაელი.

ისრაელის სამეფოში მეფობდნენ:

2964–2985 წ. იაროყამ ძე ნავატისა

2985–2986 წ. ნადე ძე იაროყარისა

2926–3009 წ. ბაყამა ძე ახიასი

3009–3010 წ. ელა ძე ბაყამასი

3010 წ. ზიმრი 7 დღე მეფობდა.

3010–3021 წ. ყომრი (ელეყნერ შულმანის წიგნის მიხედვით, ტიგნი და ყომრი)

3021–3042 წ. ახავ ძე ყომრისა

3042–3043 წ. ახაზიაჰუ ძე ახავისა

3043–3055 წ. იეჰორამ ძე ახავისა

3055–3083 წ. იეჰუძე ნამშისა

3083–3098 წ. იეჰოახაზი ძე იეჰუსი

3098–3114 წ. იეჰოაშ ძე იეჰოახაზისა

3114–3153 წ. იაროყამისა იეჰოაშისი

3154 წ. ზახარიაჰუ ძე იაროყამისა 6 თვე მეფობდა.

3154 წ. შალომი ძე იეჰაშისა 1 თვე მეფობდა.

3154–3164 წ. მე-ნახე ძე გადისა

3164–3166 წ. ფაყახ ძე მენახემისა

3166–3187 წ. ფაყახ ძე რამალი-აჰუსი

3187 წ. გადის, რეჰუენის და მენაშეს შტოს ნახეჰარი უცხოეთში განდევნეს

3187–3205 წ. პოშიაყ ელას ძე.

3205 წ. (2562 წლის წინ) ისრაელის საშეჟო აშურელებმა დაგვიმარცხეს და 10 შტო უცხოეთში განდევნეს.

ისრაელის სამეფომ **241 წელი იარსება.**

2964–2981 წ. რეჰაყამ ძე შლომოსი

2981–2983 წ. აჰია ძე რეჰაყამისა

2983–3024 წ. ასა ძე აჰიასი

3024–3048 წ. იეჰოშაფატ ძე ასასი

3048–3055 წ. იეჰორამ (იორამ) ძე იეჰოშაფატის

3055–3056 წ. ახაზიაჰუ ძე იეჰორამისა

3056–3061 წ. ყალთია ასული ახავისა

3061–3101 წ. იეჰოაშ ძე ახაზიაჰუსი

3101–3129 წ. ამაცია ძე იეჰოაშისი

3115–3167 წ. ყუზიაჰუ ძე ამაციასი (15 წელი მამასთან ერთად)

3167–3185 წ. იოთამ ძე ყუზიაჰუსი

3185–3189 წ. ახაზ ძე იოთამისა

3199–3228 წ. ბიჰიაჰუ ძე ახაზის

3228–3283 წ. მენაშე ძე ბიჰიაჰუსი

3283–3285 წ. ამონ ძე მენაშესი

3285–3316 წ. იეჰიაჰუ ძე ამონის

3316 წ. იეჰოახაზ ძე იეჰიაჰუსი 3 თვეს მეფობდა

3316–3327 წ. იეჰოახინ ძე იეჰიაჰუსი, რომელიც 3327 წ. ბაველში (ბაბილონში) გაასახლეს.

3327–3338 წ. ციდეიაჰუ ძე იეჰიაჰუსი

3338 წლის 9 აბს ბეთ პამიყდამი დაგვინგრეს და უცხოეთში გაგვასახლეს. ეს იყო 2429 წლის წინ – 422 წლით ადრე ახალ წელთაღრიცხვამდე, რომლის დასაწყისი ებრაული წელთაღრიცხვის 3760 (3761 წელს ეთანადება. ზოგიერთი წყარო იღებს 586 წელს ახალ წელთაღრიცხვამდე – ებრაული წელთაღრიცხვით 3174 წელს გამოყენებული 2 წიგნის მიხედვით, იეჰუდას სამეფოს 3167–3185 წ. იოთამ ყუზიაჰუს შვილი მეფობდა. იეჰუდას სამეფო არსებობდა 374 წელი, ხოლო პირველი ბეთ პამიყდამის აშენებიდან მის დაანგრევამდე 403 წელი გავიდა.

3339 წ. გელაია ახიამის შვილი – ებრაელთა ხელმძღვანელი მოკლეს, რის აღსანიშნავად 3 თიშრეს – გელაიას მარხვაა.

3399 წ. ესთერის გადღეოფლება – ფურიმის ისტორია.

3404 წ. ეჰანის საბოროტო წერილი

3405 წ. ფურიმის სასწაული

3408 წ. მეორე ბეთ პამიყდამის – ტაძრის აშენება, რომელიც 3828 წლამდე 420 წელი იდგა და რომელებმა გაგვინადგურეს. გამჩენმა ჩვენს დღეებში მესამე ბეთ პამიყდამის აშენებას დაგვამაღლიანოს.

3438 წ. ითვლება თანახის – ბიბლიური პერიოდის დასასრულად.

3622 წ. ხანუქის სასწაული.

3448–3980 წ. თანამიების ხანა 532 წ. გრძელდებოდა; **3980–4260 წ.** ამორაიმების ხანა – 280 წელი; **4260–4449 წ.** რაბანან 189 წელი; **4449–4800 წ.** გაონიმ 351 წ.

4800–5200 წ. რიშონიმ 400 წ. 5200 წ. დღესაც ახარონიმ 567 წ.

შეადგინა **შოთა იაკობაშვილმა** (იერუსალიმი)



რას ვპიიხულობთ

ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი

არიელ ლევინი



სიტყვა „თრუპა“ წმინდა ენიდან ითარგმნება როგორც „შესაწირავი“. კვირის საკითხავი თავი „თრუპა“ განიხილავს უდაბნოში მოძრავი ტაძრისა და მისი შიგთავის აშენების საკითხებს. ხოლო მოძრავი ტაძრის (მიშქანის) აშენებისათვის საჭირო მასალა მოიტანეს ისრაელის შვილებმა, მამაკაცებმა და ქალებმა. თორაში წერია, თუ რას უბნება გამწენი მოშეს: „უთხარი ებრაელებს, და აიღონ მათ ჩემთვის „თრუპა“ - შესაწირავი მიშქანის ასაშენებლად. გრამატიკულად უნდა იქნეს არა „აიღონ“, არამედ „მოძიენ“.

თ რ უ მ ა

ელეები ხომ აძლევენ შესაწირავს წმინდა მიხნებისათვის და არ „აიღებენ“, მაშ, რატომ წერია „აიღონ“? პასუხში კი იგულისხმება ის, რაც სურს გამწენს გვასწავლოს - კეთილ საქმეთა ქმნით ადამიანი იღებს იმაზე გაცილებით მეტს, რასაც გასცემს. აძლევენ რა ცედაკას, ადამიანი ასრულებს მიცვას, მალღლება სულიერად და ღებულობს გამწენისაგან უამრავ ფიზიკურ და სულიერ კურთხევას. ცედაკას შეუძლია ადამიანი სიკვდილს გადაარჩინოს მანინაც კი, როცა ზეცაში განაჩენი უკვე გამოტანილია.

სიტყვების „ასერ“ - გამოყავი შენი შემოსავლის მათედი ნაწილი და „აშერ“ - სიმიდრე, ერთიდაიგივეა. გაიღე მათედი და გამიღდრედი.

ერთხელ რაბი ლუპიანი (კურთხეულია წმინდანის ხსოვნა) მივიდა ერთ მდიდართან და სთხოვა ღარიბებისათვის გამოეყო განსახლერული თანხა. მდიდარი კაცი უკვე ხანში იყო შესული და ძალიან ხელომჭერილი ბრძანდებოდა. „როცა ახალგაზრდა ვიყავი, მაშინაც მეუბნებოდნენ რაბინები, გაიღე მათედი და გამიღდრედიო“ - უთხრა მან რაბის - „მე კი არ უკსმენდი მათ, არაფერს ვაძლედი ღარიბებისთვის, კაპიკს კაპიკზე ვაძებდი და . . . გამიღდრდი.“

რაბი ლუპიანი უთხრა: „მე მოგიყვები იგავს და შენ მიხვდები, თუ რა დაგემართა. იყო ერთი კაცი, რომელსაც ორი პროფესიის არჩევა შეეძლო. ის ან იუველიერი უნდა გამხდარიყო, ან მჭედელი. მან მჭედლობა აირჩია. რამდენიმე წლის შემდეგ ის თავის მე-

გობრებს ამაყად ეუბნებოდა: „რა ჭკვიანი ვიყავი, როცა მჭედლობა ვარჩიე იუველირობას. ჩემთან ხომ შესაკეთებლად მხოლოდ რკინა მოაქვთ, ოქრო კი არავის მოაქვს. რა მეშველებოდა, ოჯახს რითი შევიანხავდი იუველიერი რომ გავმხდარიყავი.“ მეგობრებმა უპასუხეს: „სულელი, როგორ შეიძლება რაიმე დასკვნა გამოიტანო იქიდან, რომ შენ იუველირობას მჭედლობა არჩიე. რა იცი რა იქნებოდა, იუველიერი რომ გამოსულიყავი. შეუძლებელია დაინახო ერთი გზა მეორე გზიდან.“ - „ასევე ხარ შენ“ - დაამთავრა რაბი ლუპიანმა, როგორ სწავლობ იქიდან, რომ რადგან შენ ცედაკას არ გასცემდი - გამიღდრდი? იქნებ ცედაკის გაცემის შემთხვევაში შენ ორჯერ ან, შეიძლება, სამჯერაც უფრო მეტად გამიღდრებულიყავი.“

მშვენიერ იგავს გვიყვება ზაფეც-ხაიმი იმის შესახებ, თუ როგორ ინახავენ ფულს და არ აძლევენ ღარიბებს: იყო ერთი გლეხი, უბრალო ადამიანი, რომელმაც დათვლა არ იცოდა. ერთხელ მან ბაზარში ტომრებით ფქვილი მიიტანა გასაყიდად და ძალიან ეშინოდა, რომ მოატყუებდნენ. როცა მიედევლი გამიწინდა, მიოლაპარაკა მასთან: ფქვილის ყოველი ტომარა ათი მანეთი ღირს და, იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რამდენი ტომარა აიღე, ყოველი ტომრის აღების შემდეგ ყუთში კაპიკი უნდა ჩადო. ე.ი. თუ ყუთში ოცდაათი კაპიკი აღმოჩნდებოდა, მყიდველს სამასი მანეთი უნდა გადაეხადა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მყიდველი პატიოსნად ღებდა ყუთში კაპიკს ყოველი ტომრისათვის. მაგრამ გლეხმა, დაინახა რომ არავინ უყურებდა, ყუთიდან ამოიღო რამდენიმე კაპიკი. ვინ დარჩა საბოლოოდ მოტყუებული? გასაკებაა, რომ ყოველი მოპარული კაპიკისათვის გლეხმა ათი მანეთი წააგო. ამ გლეხის მაგალითზე ზაფეც ხაიმი გვი-



ჩვენებს იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავს აკლებენ ცედაკას, რომელსაც არ აძლევენ ღარიბებს.

სიტყვებს „და აიღებენ ჩემთვის შესაწირავს“ და არა „მოძიენ“ კიდევ ერთი ასხნა აქვთ: თუ ის, ვისაც სწირავენ, წარჩინებული ადამიანია, მაშინ მიმღები თითქოს თავად გასცემს. თუ ვინმე რაიმეს ჩუქნის მეფეს და მეფე თანახმაა მიიღოს ეს საჩუქარი, მაშინ ძღვენს უძღვეს არა ის ადამიანი, რომელიც აძლევენ, არამედ მეფე, რომელიც დათანხმდა მიიღოს ის.

ასევე ის ადამიანი, რომელსაც შესაწირავი მიაქვს მოძრავ ტაძარში (მიშქანში). თუ ზეციური მეფე თანახმაა მიიღოს მისი ძღვენი, მაშინ ეს საჩუქარიც იმ ადამიანისათვის, რომელიც სწირავს მას.

ასევე ის ადამიანი, რომელიც გასცემს ცედაკას.

საჭიროა დავიმსახუროთ გამწენის წყალობა, რათა გვკონდეს გასაცემი და, რომ ის, რასაც გავცემთ, დახარჯოს წმინდა საქმეებისათვის. გამწენმა დაგვამაღლიანოს ყველანი ასეთ კეთილ საქმეებზე.



Advertisement for 'חדשות ישראל' (Israel News) with logos and text.

ციფრები, ციფრები, ციფრები

ისრაელის მოსახლეობის 71% მიიჩნევს, რომ მოშე კაცავი უნდა გადამდგარიყო პრეზიდენტის პოსტიდან, 29% კი მიაჩნია, რომ უნდა დარჩენილიყო პოსტზე.

ისრაელელთა 45% ახალ პრეზიდენტად შიმონ პერესის ხილვა სურს, 22% - რაბი ისრაელ ლაუსი, 15% - რუბენ რივლინისა, 8% - კოლექტივი ავითალისა. იმ შემთხვევაში, თუ შიმონ პერესი უარს იტყვის კენჭისყრაზე, ისრაელის პრეზიდენტად რაბი ისრაელ ლაუსის ხილვა სურს ისრაელის მოსახლეობის 29%-ს, რუბი რივლინისა - 25%, დალია იციკისა - 14%. კოლექტივი ავითალისა - 13%.

ასეთია შედეგი გამოკითხვისა, რომელიც გახეთ „ედით ანრონის“ დაკვეთით ჩატარა ინსტიტუტმა „დახაე“.

შეკითხვაზე „ენდობით თუ არა პრეზიდენტ კაცავს“? გამოკითხულთა 62%-მა უპასუხა „არა“, 25% - „დახა“. გამოკითხულთა 80% მიიჩნევს, რომ მოშე კაცავი უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე, 15% კი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის საქმე სასამართლომდე არ უნდა მივიდეს.

ისრაელელთა 46% დარწმუნებულია, რომ მაგაბაცები უპიტი მართავენ მანანას, პიდრა ქალები

საწინააღმდეგო აზრი აქვს 28%. ისრაელელთა 30% აღიარა, რომ თუნდაც ერთხელ მაინც ჰქონდათ სექსი მანანაში. ნიშანდობლივია, რომ 17-30 წლის ასაკში ასეთი სექსით სიამოვნებას ღებულობს 26%. 31-დან 40 წლის ასაკში - 41%. 41-50 წლის ასაკში 31%, 51-60 წლის ასაკში - 28%.

2006 წლის დეკემბერში ისრაელელთა 37,4% თავისი ეკონომიური მდგომარეობა დაახასიათა, როგორც ცუდი. 20,9% - კარგი, 40,7% - საშუალო. ამასთან ერთად, ისრაელელთა 19,6% მიიჩნევს, რომ უახლოეს 6 თვეში მათი შემოსავალი გაიზარდება, 67,5% არა-რა ცვლილებას არ ელოდება, მხოლოდ 9,6% ელოდება შემოსავლის შემცირებას. უნდა გავიხსენოთ, რომ 2004 წლის იანვარში შემოსავლების შემცირებას ელოდა მოსახლე-

ობის 20,3%, 2005 წლის იანვარში კი - 15%. ისრაელელთა 19,9% მიიჩნევს, რომ უახლოეს ხანს ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდება. 19,6% გაუარესებას ელოდება. დანარჩენი კი არა-რა ცვლილებას არ ელოდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ციხავს ხოლოკოსტის ნებისმიერ უარყოფას. ამ რეზოლუციის პროექტის ავტორი გახდა 103 სახელმწიფო.

რომან აბრამოვიჩმა „ტელ კამოპერის“ სამედიცინო ცენტრს 50.000.000 დოლარი შესწირა. სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელობამ მიიღიარა აღუქვა, რომ ერთ-ერთ განყოფილებას მეცენატის სახელს დაარქმევს.

2006 წელს მხოლოდ თელ-ავივის მერიაში დაფიქსირებული იქნა 148 სამართალდარღვევა სექსუალურ საკითხებზე. 73 შემთხვევაში სამსახურებრივი სანქციებით ამოიწურა. 9 შემთხვევასთან დაკავშირებით დაიწყო სისხლის სამართლის ძიება. მერიის 18 თანამშრომელი გამოძახებული იქნა პოლიციაში დაკითხვაზე.

რომელ ადგილზეა ისრაელი ცხოვრების ღონის მხრივ?

პოპულარული ინგლისურ ჟურნალს „ინტერნეიშენალ ლივინგის“ სიაში 191 სახელმწიფოა. ცხოვრების ღონის მიხედვით, პირველ ადგილზეა საფრანგეთი, მას მოსდევს ავსტრალია, პოლანდია და ახალი ზელანდია. ისრაელი 83-ე ადგილს იკავებს.

საშუალო ხელფასის ზრდა

7 თებერვალს ისრაელის ცენტრალურმა სტატისტიკურმა ბიურომ გამოაქვეყნა ნოემბრის საშუალო თვიური ხელფასის მონაცემები - ამ პერიოდში საშუალო თვიური ხელფასი გახდა 7479 შეკელი, ნაცვლად ადრინდელი 7375 შეკელისა. ე.ი. საშუალო ხელფასი გაიზარდა 1,4%-ით. საშუალო თვიურ

ხელფასს ზრდის ლიდერი გახლავთ ხევრათ ხაშმალი - 17 804 შეკელი. მეორე ადგილზეა საბანკო სისტემა. აქ საშუალო თვიური ხელფასია 12 802 შეკელი.

5 აგვისტოს ბრიუსელში გაიმართება ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, სადაც განიხილავენ ევროპისა და ისრაელის ურთიერთობის საკითხებს. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ციფი ლივნი შეეცდება ისრაელისთვის ახალი სოციო-ეკონომიურ სტატუსის მიღწიოს. ეს კი ნიშნავს იგივე შედეგთან პირობებს, რომლითაც სარგებლობენ შვეიცარია, ნორვეგია, „შვეიცარიული“ სტატუსის მიღწევა ისრაელელებსა და ევროპელებს კომერციული თანამშრომლობისა და მიგრაციის სასურველ პირობებს უქმნის.

რომელ რესტორანს ამაჯობებენ?

ისრაელში 4399 კაფე და რესტორანია, ამიტან მხოლოდ 1539-ს აქვს ქაშრუთის მოწობა. ყველაზე მეტი არაქაშური რესტორანი არის თელ-ავივში. აქ 1599 რესტორნიდან 993-ს აქვს ქაშრუთის ლიცენზია. ხაიფაში 294 რესტორანი და კაფეა, ქაშერად კი 55 მიწნეული, აშდოლში 288 რესტორნიდან - 111, ტიბერიაში 153-დან 46. უკეთესი მდგომარეობა ისრაელის დედაქალაქ იერუსალიმში. 437 რესტორნიდან რაბინათის მოწიობას ქაშრუთის თაობაზე 294 ფლობს. ისრაელელთა უმეტესობა პატარა-პატარა კაფეებში სტუმრობას ამჯობინებს. ისრაელში ასეთი 1449 კაფეა, პოპულარობის თვალსაზრისით ამას მოსდევს აღმოსავლური (383) თევზის (346), იტალიური (239) და ხუშუსის (234) რესტორნები.

თუ პრემიერ-მინისტრის პროსტიტუტის ორი - ეკუდ ოლეგ-რტი და ბარაბი იბროლივს

ისრაელის მოსახლეობის 45%-ს სურს, რომ ქვეყნის პრემიერი იყოს ბენიამინ ნეთანიაკუ, ამ შემთხვევაში ეკუდ ბარაკი მიიღებს ხმათა 19%-ს, ხოლო ეკუდ ოლეგ-რტი - 9%-ს.

თუ „კადიმას“ ლიდერი გახდება ციფი ლი-

ვნი, „ავოლისა“, ეკუდ ბარაკი, მაშინ ამომრჩეველთა 36% პრემიერ-მინისტრის პოსტზე მხარს დაუჭერდა ბენიამინ ნეთანიაკუს, 34% - ციფი ლივნის, 15% - ეკუდ ბარაკს. თუ „ავოლას“ ლიდერი გახდება ამი აიალონი, „კადიმას“ კვლავ ოლმერტი უხელმძღვანელებს, მაშინ ნეთანიაკუს ხმას მისცემს ამომრჩეველთა 44%. აიალონს - 31%, ოლმერტს - 8%. სამეულში ნეთანიაკუ - ლივნი - აიალონი, ნეთანიაკუ ღებულობს 37%, აიალონი - 24%, ლივნი - 23%.

პერე კი იოცნებობდა...

რუსეთიდან საფრანგეთში ემიგრირებული და პარიზის გარეუბანში დიდ სიღარიბეში მცხოვრები ხაიმ სუტინი ტკბილ ოცნებაშიც კი ვერ წარმოიდგენდა იმას, რაც ახლახან სოტბის აუქციონზე ლონდონში მოხდა - აქ იყიდებოდა მე-19 და მე-20 საუკუნეების მხატვართა ნამუშევრები. ყველაზე დიდი ვაჭრობა სწორედ ხაიმ სუტინის „წითელცხვირისაზოციან მამაკაცთან“ დაკავშირებით გაიმართა. ნახატის ფასმა ექვს მილიონ ფუნტ სტერლინგს რომ გადააჭარბა, ვაჭრობის გაგრძელების გუნებაზე მხოლოდ ხაიმ ადამიანი იყო - ორი მათგანი სულ ტელეფონზე ჩამოვიდებოდა აგენტი გახლდათ, როცა მეორე რიგში მჯდომმა, მანამდე უხმო ქალბატონმა თქვა თავისი ფასი:

- რემილიონი და 756 ათასი ფუნტი სტერლინგები (ბაჟის ჩათვლით) აუქციონის წამყვანმა იყვირა:

- უკანასკნელი მანისი, უკანასკნელი მანისი! ვერავინ შეიფიქო ის ქალი აგენტი იყო თუ მყიდველი - აუქციონზე ყველა სამკაულების გარეშე, უბრალოდ ჩაქმული მოვიდა.

„წითელცხვირისაზოციანი მამაკაცი“ ხაიმ სუტინის ნამუშევართა შორის ყველაზე მაღალი ფასის აღმოჩნდა. აქამდე მისი ნახატის ფასი 7,8 მილიონ ფუნტ სტერლინგს არ ასცილებია. როდესაც აუქციონის წამყვანმა ჩაქმის დასცხო და საბოლოო ფასი 8.756 ათასი ფუნტი სტერლინგი გამოუცხადა, ყველას გაახსენდა, რომ დღევანდელმა გამყიდველმა ეს ნახატი 1997 წელს 1,6 მილიონ ფუნტ სტერლინგად იყიდა.

ეროვნულ სახეთა გაღერვა



ცნობილი საზოგადო მოღვაწე იაკობ სეფიაშვილი

(მე-4 გვერდიდან)

პატივს – დას, ბ-ნი რუბენ, ჯერ კიდევ 385 წელს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, პლატონი აღნიშნავდა, რომ „ყველაზე მაღალი მათემატიკის ფორმა მუსიკაა!“

– მუსიკა სიკეთის სამჭედლოა! – დასძენს ბ-ნი რუბენი.

...მუსიკა სპექტაკლისათვის „26 საუკუნოვანი ექსო!“ დანაწილებულია 20 ნომრად. კომპოზიტორი ორიგინალური მუსიკის გარდა, იყენებს უხსოვარი დროის ძველ-ძველ საგალობლებსა და საქართველოს ებრაელთა ლოცვანს.

ორიგინალური, სიმფონიური მუსიკა, ერწყმის ფსალმუნებს, ლოცვანსა და სხვადასხვა ლიტურგიულ მოტივებს...

საგულსხმო და დიდებული ჰანგია ჩაქსოვილი სამაბათო ლოცვაში „ღეხა დოდი!“

ნატიფი და დახვეწილი მუსიკის თანხლებით სრულდება ბაბილონიდან გადარჩენილი სეფერ-თორის გამობრძანება!

განსაკუთრებული ღირებებით გამორჩეული „ელეგია“ – ღირიულ სცენებში.

მუსიკის ყოველი ბგერა, გამოზომილია. საჭირო და აუცილებელი...

დაკუბრუნდეთ ისევ დავით ხუბელაშვილს!

1989 წელი. ბატონი დავითი საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

1998 წელი. ბატონი დავითი იღებს „ღირსების ორდენს!“ აშკელიონის, ლუდის, კირიათ-ბიალიკის. მიშა ჯანაშვილის სახელობის სიგელებს მრავალი სხვაგვარად.

და კიდევ: ფილმი „ღედის ცეკვა“ ბ-ნი დავითი – პატარა მამას – მორისს თამაშობს.

ისრაელის საერთაშორისო ფესტივალებზე პირველი ადგილი.

ახალგაზრდა რეჟისორმა – ზილდა ხუნამ ფულადი ჯილდო მიიღო.

ბატონო დავით!

კიდევ მრავალ წელიწადს არ მოკლებოდეს ჩვენს მაყურებელს თქვენთან შეხვედრის სიხარული!

გიკურთხოს მარჯვენა!

...დამთავრდა კონცერტი. ისმის ოვაციები, ბრავოს ძახილი.

სცენაზე – ბატონი შალომ დავიდი.

კვლავ, დიდებული ორატორის ხმით, ყველას უხდის მადლობას.

და, ხულონის მუნიციპალიტეტის სახელით, კონცერტის ყველა მონაწილეს აჯილდოვებს „ხატულა“ – საპატიო დიპლომებით!

დავიდ ხუბელაშვილი თავისი და მთელი დასის სახელით მადლობას უხდის შალომ დავითს, საქართველოს საელჩოს ისრაელში. რადიო „კოლ-ისრაელის“ ქართულ განყოფილებას, ხელოვნების მუშაკებს, ვინც მონაწილეობა მიიღო – საიუბილეო საღამოზე და საღამოს წამყვანს ქონ ლუა კრიხელს.

დავითი: ქალბატონებო და ბატონებო, მოგესალმებით ყველას და, რაკი, ჩვენი თეატრი ატარებს – გერცელ ბაზოვის სახელს, ჩემს გამოსვლას დავამთავრებ ბატონი გერცელ ბაზოვისადმი მიძღვნილ იუდა შალელაშვილის ლექსით:

**38-ში ზამთრის სუსხი, მეფობდა
ყველგან,
შვილებს ხოცავდნენ – ვინ დაინდოს
ტანჯული ერი,
ნეტავ, ვიცოდე, სიკვდილის დროს,
თვალწინ რა გეგდა?!
მშობელი მხარე, მშობლები თუ
მებრძოლი ერი!
დაე, იცოდეთ, ყველამ კარგად, კარგად
გაიგეთ,
რომ საბჭოელებს მუნდირის ცვლა
ვერაფერს შველით.
თუ თქვენ არ გჯერათ, მაგალითი,
მისგან აიღეთ,
ვინაც გერცელით – ვედარ მოჰკლა –
საქმე გერცელის!**

დაეშვა ფარდა!
ასე დასრულდა, საოცრად თბილი, დიდი სიყვარულით აღსავსე, არაჩვეულებრივი საღამო.

კიდევ, ერთი, ღირსეული ფურცელი ჩაიწერა ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა – მატთანში!

ჩხსი ლუზაბიშვილი

„სიჯოჯხლე ისე კვირფანი და სანუკვირია, სიძღვირითვის აჩასოდეს აჩ უნდა შესაჩქოთ...“

და დასანანი, რომ ქართველ ებრაელთა თემის თვალსაჩინო წარმომადგენლებს გამოაკლდა პიროვნება, რომელიც თავისი ადამიანური თვისებებითა და ნიჭიერებით, შეგნებული ცხოვრების მანძილზე, ქვეყნისა და ხალხის სამსახურში იყო.

ქალბატონი დოლო ხუნაშვილი ცხოვრების იმ წესს მორჩილებდა, რომლის მიხედვითაც ადამიანს არ შეუძლია და არც უფლება აქვს იყოს გამოუთქმელი, დამშვიდებული, აუღელვებელი იმ გრძობის მიმართ, რომლითაც უყვარს სიცოცხლე, იცის სიცოცხლის ფასი, განიცდის ქვეყნად არსებულ მის სიტკბობასა და ტკივილებსაც. ეს ქალბატონი თრთოდა სიცოცხლის სიყვარულით, სიყვარულით ლურჯი ცისა და ანკარა წყლისა, მობიბინე მწვანე ბალახისა, მოშრივე ფოთლებისა და ნაირფერი ყვავილებისა, მოჭიკჭიკე ფრინველებისა და მორაკრაკე ნაკადულებისა, ეფერებოდა მზის ამობრწყინებასა და მის ელვარედ ჩასვენებას. „ექვოვ! მიეც ჩემს კალამს ღვთის ძალა, არ დამეკარგოს ქუჩებში, თორემ უმისოდ რა ვქნა, დავინისლები ძალიან...“ – ჩურჩულებს პოეტი ქალი და ლექსებად ღვთის თავის გრძობებს. ეს ლექსები კი სიყვარულს, მოყვასის სიყვარულს, ერთგულებას, ნიჭს, შრომას, სიცოცხლესა და რწმენას უმღერის: „გვიყვარდეს ერთმანეთი ჩვენ, დღესაც, ხვალაც და ზევ... გვსურდეს ერთა შორის მშვიდობა... სამშობლოს აყვავება მარად...“ მას არასოდეს არ სტოვებს სხვიანი მომავლის იმედი და გარდასულ დღეთა

ჩრდილშებარულ სინამდვილესაც თამამად უსწორებს თვალს: „და თუ კაცი ხარ ადამიანი, მზიან ფიქრებით უნდა ამადლდე“, – აი, ქალბატონ დოლო ხუნაშვილის ცხოვრების კრედი.

„ვინც პოეზიის უმანკო თავს დაიდგამს თავზე, მან უნდა ზიდოს ეს უღელი თვით სიკვდილამდე“, – ეს სიტყვებიც დოლო ხუნაშვილს ეკუთვნის და იგი ამ სიტყვების ერთგული დარჩა სიცოცხლის ბოლომდე, მუხლწაუხრელად ეწეოდა პოეზიის იმ უღელს, რომელიც ორი ერის, ორი ენის, ორი ხალხისა და ორი ქვეყნის – ისრაელისა და საქართველოს – და ორი გაღმერთებული ქალაქის – იერუსალიმისა და თბილისის – უზომო სიყვარულითა და მთ კეთილდღეობაზე ლოცვა-კურთხევით არის ნასაზრდოები.

„ჩემი ლექსები მთელი ჩემი სიცოცხლეა“, – წერს ქალბატონი დოლო. „ვინც აბოვის ამ ლექსს, ლამაზ შურთხისფრთიანს, მას ეკუთვნის, მხოლოდ მისთვის მიჩუქნია...“ თქვენმა ლექსებმა იპოვა მეთხველი, ქალბატონო დოლო, და, „განავლილი ბილიკებით“, ლექსების ციცილით ღედაზე, სონეტებით და სხვა კრებულებით, პოეტი ქალის გულის სითბოსთან ერთად, თან მოიტანა მშობლიური მიწის სურნელი და სიყვარული, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული ჯარისკაცის ხსოვნა, ლოცვა-ვედრება საკაცობრიო მშვიდობისათვის, ნოსტალგია უსაყვარლესი და უშეპირფასესი საქართველოსადმი და, რაც მთავარია, მოყვასის უანგარო სიყვარული. ამიტომაც დაიდეს თქვენმა



ლექსებმა ჩვენს გულში ბინა. იძინეთ მშვიდად, ქალბატონო დოლო, თქვენ ვალი არ დავრჩენით ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

ებრაულ კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდთან არსებული თანამედროვე ებრაული პოეზიის მოყვარულთა წრის სახელით
ზაირა დაპარაშვილი

დამფუძნებელი და
გამომცემელი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57



რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
შიმარ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
Jewish Agency for Israel